ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 367

მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

ქ. თბილისი 18 მაისი 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

შემსყიდველი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის **ჰენრი ჯობაძის** სახით.

მისამართი: 0112, ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. №20.

სკ. 204900483.

საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი TRESGE22.

მიმწოდებელი – შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა" წარმოდგენილი დირექტორის **მირანდა მანჯგალაძის** სახით

მისამართი : ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ №12 (ფაქტ: გამსახურდიას გამზ. №41, მე-3 სართული);

ს.კ. 404482537

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი" TBCBGE22 ა.ა. GE58TB7353436080100004

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი (CPV 55500000)

2.1. ქართული განლაგების პროგრამა ავღანეთში განსალაგებელი ძალების გაწვრთვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეერთებული შტატების თავდაცვის თანამშრომლობის ოფისს შორის **2014 წლის 28 მაისს** გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (შემდგომში - მემორანდუმი) შესაბამისად, მიმწოდებელი უზრუნველყოფს არაუმეტეს 180 (ასოთხმოცი) ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის (შემდგომში - სამხედრო მოსამსახურე) კვებით მომსახურებას (შემდგომში მომსახურება) ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისი"-ში და/ან „სამხრეთ ვაზიანი"-ს საწვრთვნელ ბაზაზე. მომსახურების უზრუნველყოფა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ, საკუთარი კვების პროდუქტებით (ტრანსპორტირებითა და შენახვის პირობების დაცვით) და მომსახურე პერსონალით.

3. მომსახურების ღირებულება

3.1 ერთი სამხედრო მოსამსახურის დღიური კვებითი უზრუნველყოფა შეადგენს **28,50** (ოცდარვა ლარი და 50 თეთრი) ლარს (დღგ-ს გარეშე). ერთი სამხედრო მოსამსახურის დღიური კვებითი უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დეტალები (მენიუს დასახელება, ფასი და მიწოდების ადგილი) განსაზღვრულია დანართი №1 , რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **210 330,00** (ორასათიათასსამასოცდაათი) ლარი (დღგ-ს გარეშე).

3.3 გაწეული მომსახურების ყოველდღიური ღირებულება გამოითვლება კონკრეტული შეკვეთის შესაბამისად სამხედრო მოსამსახურეთა კვებაზე გაწეული ხარჯებისაგან.

3.4 ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს კვებით პროდუქტების შესყიდვასთან, მომსახურების გაწევასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (დღგ-ს გარეშე), მოსაკრებელსა და სახდელს.

3.5 ფასი არ შეიცავს ენერგო მატარებლებს (წყალი, ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია). მის გადახდას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

4. ანგარიშსწორება

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან მიზნობრივი თანხის გადმორიცხვის შემდეგ 15 დღის განმავლობაში ორივე მხარის ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ამ ხელშეკრულებით

ეათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელშიც ასახული უნდა იყოს გაწეული კვებითი მომსახურების რაოდენობა (სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა) და თანხა.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

4.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (საბანკო გადარიცხვა).

5. სტანდარტები და ხარისხი

5.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს.

5.2. მომსახურების თითოეული ეტაპის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებით, დანართი №1 ით და კონკრეტული შეკვეთით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

6.1.1. წვრთვნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ეროვნული სამხედრო სასწავლო ცენტრი „კრწანისი"-ს და/ან „სამხრეთ ვაზიანი"-ს საწვრთვნელი ბაზის უფროსის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი - შეკვეთის მიცემის, შესრულების ვადების, მიღება-ჩაბარებისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის საკითხებზე. (მიღება-ჩაბარების აქტს, აგრეთვე ხელს აწერს მემორანდუმის შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი).

6.1.2. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი – 6.1.1. ქვეპუნქტით გაუთვალისწინებელ საკითხებზე.

6.1.3. მომზადებული საკვების სანიტარულ ჰიგიენური კონტროლის განხორციელება წარმოადგენს აშშ-ის სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას.

6.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

6..2.1 ხელშეკრულების პირობებთან მოწოდებული მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება), დოკუმენტური, სანიტარულ-ჰიგიენური ან/და საქონლის გამოცდის (მათ შორის ლაბორატორიული გამოცდის) მეთოდით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6.2.2. მიწოდების შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;

6.3. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, მომსახურების მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

6.4. კონტროლის განხორციელების ადგილია: მომსახურების მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.

6.5. კონტროლის განხორციელებისას მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" 22-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

7. მომსახურების მიწოდების პირობები

7.1. შემსყიდველის შეკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელი, საკუთარი ხარჯებით, ამ ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, განახორციელებს საწავლო ცენტრ „კრწანისი"-ში და/ან „სამხრეთ ვაზიანი"-ს საწვრთვნელ ბაზაზე სამხედრო მოსამსახურეების კვებით მომსახურებას.

7.2. მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ **2015 წლის 21 მაისიდან 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით,** დღეში სამჯერადი კვებით სასწავლო დღეებში და ორჯერადი კვებით არასასწავლო დღეებში (არასასწავლო დღეს ორჯერადი კვება ხორციელდება: ა) გაერთიანებული საუზმისა და სადილის (პირველი კვება) და ბ) ვახშმის (მეორე კვება) სახით).

7.3. კერძები იქნება მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული, შეკვეთით განსაზღვრულ დროს, მენიუს შესაბამისად (იხ. დანართი №1), კარგად დაბალანსებული, თითოეული საკვები უნდა შეიცავდეს ბოსტნეულს, მჭლე ხორცს და დესერტს, მენიუში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია წინასწარ ულუფებზე შეთანხმების შესაბამისად.

7.4. აშშ-ის კონტიგენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს კვების მენიუ.

7.5. მომზადებული საჭმლის სანიტარული შემოწმება უნდა განხორციელდეს აშშ-ს სამედიცინო პერსონალის მიერ. აშშ-ს კონტიგენტს აქვს უფლება უარი თქვას გაფუჭებულ საკვებზე.

7.6. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი კვების განხორციელებისას უზრუნველყოს მომსახურების გაწევა კერძების მრავალფეროვნებით, რაც გულისხმობს რამდენიმე სახეობის სხვადასხვა კერძის შეუზღუდავი რაოდენობით მიწოდებას.

7.7. მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების ან ყოველი მისი ნაწილის მიწოდებისას წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

7.8. მიმწოდებელმა უარი უნდა თქვას იმ კონკრეტული შეკვეთის შესრულებაზე, რომლის ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებას და შეუსრულებლად დაუბრუნებს შემსყიდველს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მიმწოდებელი სამხედრო მოსამსახურეთა ერთდროული კვებისათვის საჭირო სასადილო-სამზარეულოთი, სამზარეულო ინვენტარით და სამზარეულოს მოწყობილობა-დანადგარებით.

8.1.2. 6.1.1. პუნქტში მითითებული პირების მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირების მეშვეობით ყოველი კვების წინ, არანაკლებ ხუთი საათით ადრე აცნობოს მიმწოდებელს გასაწევი მომსახურების მოცულობა (ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა).

8.1.3. უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების შესაბამისად მოხმარებული კომუნალური მომსახურების ღირებულების (წყლის, ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის) გადახდა.

8.1.4. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მიმწოდებელი ალტერნატიული ენერგომატარებელი დანადგარებით, ელექტროგენერატორით, წყალმომარაგებით და სხვა სახის კომუნალური მომსახურებით (გარდა ამ ხელშეკრულების 8.2.5. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისა).

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.2.1 გაუფრთხილდეს მასზე გადაცემულ ქონებას (სასადილოს შენობა-ნაგებობას, სამზარეულო ინვენტარს, მოწყობილობა-დანადგარებს და სასადილოსთვის საჭირო სხვა მატერიალურ საშუალებებს).

8.2.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ გადასცეს შემსყიდველს მასზე გადაცემული ქონება (სამზარეულო, სამზარეულო ინვენტარი სამზარეულოს მოწყობილობა-დანადგარები) გამართულ მდგომარეობაში.

8.2.3. მიმწოდებელს ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მასზედ მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული ქონების (სამზარეულოს, სამზარეულო ინვენტარისა და სამზარეულოს მანქანა-დანადგარების) მის მიერ ბრალეული ქმედებით დაზიანება/განადგურების შემთხვევაში. აღნიშნული ქონების დაზიანება/განადგურების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს მიყენებული ზიანი.

8.2.4. თავისი სახსრებით აწარმოოს კვების ობიექტზე გადაცემულ სამზარეულოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ელექტრო, სანტექნიკური და სამეურნეო დანიშნულების მატერიალური საშუალებების სათადარიგო ნაწილების, დანადგარების შეკეთების მომსახურების და მსგავსი საქონლის შესყიდვა, რომელთა ღირებულება შემსყიდველის მხრიდან არ ანაზღაურდება.

8.2.5. საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დროს წარმოქმნილი საკვები ნარჩენების გატანა.

8.2.6. უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

8.2.7. შეასრულოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები.

8.2.8. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიცვას და არ გაახმაუროს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისას.

8.2.9. უზრუნველყოს სამჯერადი კვება სასწავლო დღეებში და ორჯერადი კვება დასვენების დღეებში.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 6.1.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

9.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, მომსახურეობის მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისთვის მომსახურების ფაქტობრივად გადაცემის თარიღი.

9.3. მომსახურების ფაქტობრივად გადაცემა არ წარმოადგენს მომსახურების საბოლოო მიღებას და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:

9.4.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო); ან/და

9.4.2. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში); ან/და

9.4.3.მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები; ან/და

9.4.4. მიწოდებულია მიწოდების ვადის გასვლის შემდგომ; ან/და

9.4.5. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია; ან/და
9.4.6. ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია; ან/და
9.4.7. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.5. მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

10. გარანტია

10.1. მიმწოდებული იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება და გამოყენებული პროდუქტი არის ხარისხიანი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო.
10.2. მომსახურების (ვარგისობის) საგარანტიო ვადა შეადგენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდს.
10.3. თუ საგარანტიო პერიოში აღმოჩნდება ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარულ დღეში განიხილოს (დააკმაყოფილოს ან განაცხადოს მოტივირებული უარი) შემსყიდველის შეტყობინება და შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 30 კალენდარული დღის ვადაში დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 09 თებერლის №105 ბრძანების თანახმად, შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა"-ზე არ ვრცელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენის ვალდებულება.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლება-მოვალეობანი.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
14.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
14.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობით გაზრდა.
14.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
14.6. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. თუ მიმწოდებელი თავისი ბრალით დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, ხოლო ამით შემსყიდველს მიადგება ზიანი, მიმწოდებელი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.2. მიმწოდებელი ვალდებულია, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიიღოს ზომები ბრალეული პირისათვის დისციპლინური/მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით და აღნიშნულის შესახებ აცნობოს შემსყიდველს.
15.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის ბრალით დროულად და ხარისხიანად ვერ ხორციელდება მომსახურება, რის გამოც შემსყიდველის მიერ ამერიკელ მოსამსახურეთათვის კვების უზრუნველსაყოფად გაწეული იქნა ხარჯები სხვა მიმწოდებელთან ან სხვა მარაგებიდან, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 30 კალენდარული დღის ვადაში აუნაზღაუროს შემსყიდველს ამერიკელ მოსამსახურეთათვის კვების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები. მოთხოვნას აღნიშნული ხარჯების ანაზღაურებაზე განახორციელებს 6.1.1. პუნქტში მითითებული პირები.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:
ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 სამუშაო დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
16.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:
ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);
ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).
16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ფორს-მაჟორი

17.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.
17.2 „ფორს-მაჟორის" ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.
17.3 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.
17.4 ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.
17.5 თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.
18.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს საქართველოში.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

20. შეტყობინება

20.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მომწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

21. სხვა პირობები

21.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან მოქმედებს **2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**

21.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის სამუშაო დღე არის კალენდარული დღე შაბათის, კვირის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

21.3. ხელშეკრულების დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

21.4. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

21.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 5 (ხუთი) იდენტურ ეგზემპლარად.

შემსყიდველის მხრიდან:	**მიმწოდებლის მხრიდან:**
ჰ. ჯობაძე	მ. მანჯგალაძე
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს	შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა"-ს
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის	დირექტორი
უფროსის [illegible] მოვალეობის შემსრულებელი	
.....	.....

დანართი№1

მენიუს დასახელება, ფასი და მიწოდების ადგილი

საუზმე

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ფასი	მომსახურების მიწოდების ადგილი
კარგად მოხარშული კვერცხი	კარგად მოხარშული კვერცხი	კარგად მოხარშული კვერცხი	კარგად მოხარშული კვერცხი	კარგად მოხარშული კვერცხი	კარგად მოხარშული კვერცხი	კარგად მოხარშული კვერცხი	8.55 ლ	ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისი“ და/ან „სამხრეთ ვაზიანი“-ს საწვრთვნელი ბაზა
კვერცხში შემწვარი პური (ყიყლიყო)	კვერცხში შემწვარი პური (ყიყლიყო)	კვერცხში შემწვარი პური (ყიყლიყო)	კვერცხში შემწვარი პური (ყიყლიყო)	კვერცხში შემწვარი პური (ყიყლიყო)	კვერცხში შემწვარი პური (ყიყლიყო)	კვერცხში შემწვარი პური (ყიყლიყო)		
მურაბა	მურაბა	მურაბა	მურაბა	მურაბა	მურაბა	მურაბა		
მეტი სხვადასხვა სახეობა წვენებისა	მეტი სხვადასხვა სახეობა წვენებისა	მეტი სხვადასხვა სახეობა წვენებისა	მეტი სხვადასხვა სახეობა წვენებისა	მეტი სხვადასხვა სახეობა წვენებისა	მეტი სხვადასხვა სახეობა წვენებისა	მეტი სხვადასხვა სახეობა წვენებისა		
გერკულესის ფაფა /სიმინდის ფაფა	გერკულესის ფაფა /სიმინდის ფაფა	გერკულესის ფაფა /სიმინდის ფაფა	გერკულესის ფაფა /სიმინდის ფაფა	გერკულესის ფაფა /სიმინდის ფაფა	გერკულესის ფაფა /სიმინდის ფაფა	გერკულესის ფაფა /სიმინდის ფაფა		
კონფლეკი	კონფლეკი	კონფლეკი	კონფლეკი	კონფლეკი	კონფლეკი	კონფლეკი		
ბეკონი/ლორი	ბეკონი/ლორი	ბეკონი/ლორი	ბეკონი/ლორი	ბეკონი/ლორი	ბეკონი/ლორი	ბეკონი/ლორი		
კვერცხი	კვერცხი	კვერცხი	კვერცხი	კვერცხი	კვერცხი	კვერცხი		
შემწვარი კარტოფილი /ალადიკი	შემწვარი კარტოფილი /ალადიკი	შემწვარი კარტოფილი /ალადიკი	შემწვარი კარტოფილი /ალადიკი	შემწვარი კარტოფილი /ალადიკი	შემწვარი კარტოფილი /ალადიკი	შემწვარი კარტოფილი /ალადიკი		
ჯემი	ჯემი	ჯემი	ჯემი	ჯემი	ჯემი	ჯემი		
კარაქი	კარაქი	კარაქი	კარაქი	კარაქი	კარაქი	კარაქი		
არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი		
თაფლი	თაფლი	თაფლი	თაფლი	თაფლი	თაფლი	თაფლი		
ნაღები	ნაღები	ნაღები	ნაღები	ნაღები	ნაღები	ნაღები		
იოგურტი	იოგურტი	იოგურტი	იოგურტი	იოგურტი	იოგურტი	იოგურტი		
სახარინი	სახარინი	სახარინი	სახარინი	სახარინი	სახარინი	სახარინი		
პური	პური	პური	პური	პური	პური	პური		
პეჩენია	პეჩენია	პეჩენია	პეჩენია	პეჩენია	პეჩენია	პეჩენია		
რძე	რძე	რძე	რძე	რძე	რძე	რძე		
ხილის წვენი	ხილის წვენი	ხილის წვენი	ხილის წვენი	ხილის წვენი	ხილის წვენი	ხილის წვენი		
კეჩუბი /მდოგვი	კეჩუბი /მდოგვი	კეჩუბი /მდოგვი	კეჩუბი /მდოგვი	კეჩუბი /მდოგვი	კეჩუბი /მდოგვი	კეჩუბი /მდოგვი		
ნალექიანი ყავა, ჩაი	ნალექიანი ყავა, ჩაი	ნალექიანი ყავა, ჩაი	ნალექიანი ყავა, ჩაი	ნალექიანი ყავა, ჩაი	ნალექიანი ყავა, ჩაი	ნალექიანი ყავა, ჩაი		
სენდვიჩის პური	სენდვიჩის პური	სენდვიჩის პური	სენდვიჩის პური	სენდვიჩის პური	სენდვიჩის პური	სენდვიჩის პური		
სენდვიჩის ყველი	სენდვიჩის ყველი	სენდვიჩის ყველი	სენდვიჩის ყველი	სენდვიჩის ყველი	სენდვიჩის ყველი	სენდვიჩის ყველი		

სადილი

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ფასი	მომსახურების მიწოდების ადგილი
სალათ ბარი	სალათ ბარი	სალათ ბარი	სალათ ბარი	სალათ ბარი	სალათ ბარი	სალათ ბარი	12.83 ლ	ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისი“ და/ან „სამხრეთ ვაზიანი“-ს საწვრთვნელი ბაზა
სალათ ცეზარი	სოკოს სუფი	ქათმის ხორცის სალათა ბრინჯით	მაკარონის სუფი	წვნიანი გუფთა	სოკის სუფი	ბარდის სუფი		
ბოსტნეულის სუფი	საქ. ხორცის გულიაში	პომიდვრისა და რეჰანის სუფი	შემწვარი ქათმის ხორცი	ხინკალი	ტოლმა	კატლეტი საქ. და ღორის ხორცი		
გრილზე შემწვარი ქათამი (BBQ)	სენდვიჩი ყველითა და ძეხვით	ჩაშ. ღორის ხორცი	სენდვიჩი ყველითა და ძეხვით	კარტოფილის პიურე	ქათმის ხორცი ბოსტნეულის სოუსით	ბისტროგანოვი		
კარტოფილის ფრი	ვიჩინა და მდნარი ყველი	კარტოფილი ნივრის საკმაზით	შემწვარი ბრინჯი	სპაგეტი	ლობიო	კარტოფილის პიურე		
კონფლეიკი	კარტოფილის პიურე	კონფლეიკი	მოხარშული კარტოფილი კამით	კონფლეიკი	კონფლეიკი	კონფლეიკი		
კეჩუბი /მდოგვი	სპაგეტი	კეჩუბი /მდოგვი	კონფლეიკი	კეჩუბი /მდოგვი	კეჩუბი /მდოგვი	კეჩუბი /მდოგვი		
ნაღები	კონფლეიკი	ნაღები	კეჩუბი /მდოგვი	ნაღები	ნაღები	ნაღები		
ყავა, ჩაი	კეჩუბი /მდოგვი	ყავა, ჩაი	ნაღები	ყავა, ჩაი	ყავა, ჩაი	ყავა, ჩაი		
რძე	ნაღები	რძე	ყავა, ჩაი	რძე	რძე	რძე		
ნაყინი	ყავა, ჩაი	ნაყინი	რძე	ნაყინი	ნაყინი	ნაყინი		
ნატ. წვენი	რძე	ნატ. წვენი	ნაყინი	ნატ. წვენი	ნატ. წვენი	ნატ. წვენი		
გამ. სასმელი	ნაყინი	გამ. სასმელი	ნატ. წვენი	გამ. სასმელი	გამ. სასმელი	გამ. სასმელი		
პეჩენია	ნატ. წვენი	პეჩენია	გამ. სასმელი	პეჩენია	პეჩენია	პეჩენია		
სადილის პური	გამ. სასმელი	სადილის პური	პეჩენია	სადილის პური	სადილის პური	სადილის პური		
	პეჩენია		სადილის პური					
	სადილის პური							

სამხარი

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ფასი	მომსახურების მიწოდების ადგილი
სალათ ბარი	სალათ ბარი	სალათ ბარი	სალათ ბარი	სალათ ბარი	სალათ ბარი	სალათ ბარი	7.12 ₾	ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისი“ და/ან „სამხრეთ ვაზიანი“-ს საწვრთვნელი ბაზა
ჩაშ. საქონლის ხორცი ბოსტნეულით	ჰამბურგერი ბოსტნეულის ფურცლით, პამიდვრით, ხახვით	კატლეტი საქ. და ღორის ხორცი	ოსტრი საქონლის ხორცით	შემწვარი ქათმის ხორცი	შემწ. ღორის ხორცი კატლ.	შემწვარი ქათმის ხორცი		
მაკარონი ყველით	ყვავილოვანი კომბოსტო	კარტოფილის პიურე	ჩაშ. კომბოსტო ღორის ხორცით	ყვავილოვანი კომბოსტო	შემწვარი სტაფილო	ისპანახი		
შემწვარი სტაფილო	კარტოფილი ფრი	ჯამბალია	სპაგეტი	ბრინჯი ბოსტნეულით	მაკარონი ყველით	სპაგეტი		
ხილის ასორტი	ხილის ასორტი	ხილის ასორტი	ხილის ასორტი	ხილის ასორტი	ხილის ასორტი	ხილის ასორტი		
კონფლეკი	კონფლეკი	კონფლეკი	კონფლეკი	კონფლეკი	კონფლეკი	კონფლეკი		
კეჩუბი	კეჩუბი	კეჩუბი	კეჩუბი	კეჩუბი	კეჩუბი	კეჩუბი		
არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი	არაქისის კარაქი		
კარაქი	კარაქი	კარაქი	კარაქი	კარაქი	კარაქი	კარაქი		
ჩაი	ჩაი	ჩაი	ჩაი	ჩაი	ჩაი	ჩაი		
ნაღები	ნაღები	ნაღები	ნაღები	ნაღები	ნაღები	ნაღები		
რძე	რძე	რძე	რძე	რძე	რძე	რძე		
ყავა	ყავა	ყავა	ყავა	ყავა	ყავა	ყავა		
ჯემი	ჯემი	ჯემი	ჯემი	ჯემი	ჯემი	ჯემი		
გამ. სასმელი	გამ. სასმელი	გამ. სასმელი	გამ. სასმელი	გამ. სასმელი	გამ. სასმელი	გამ. სასმელი		
ნატ. წვენი	ნატ. წვენი	ნატ. წვენი	ნატ. წვენი	ნატ. წვენი	ნატ. წვენი	ნატ. წვენი		
პეჩენია	პეჩენია	პეჩენია	პეჩენია	პეჩენია	პეჩენია	პეჩენია		
პური	პური	პური	პური	პური	პური	პური		

შემსყიდველის მხრიდან:
ვ. ჯობაძე
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებლის მხრიდან:
მ. მანჯგალაძე
შპს „სახელმწიფო კვებითი მომსახურება“-ს
დირექტორი